



მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 525 სოთხაბათი, ივლისის 19 1923 წ.

უფალდღიური გაზეთი

ფასი 75,000

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს

თვეობად 1,250,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6

ტელეფონი 10-84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:

1 გვ. 250,000 მან. ნაგებობა

4 „ 200,000 „

სამგზოვარი განცხადება

1 გვ. 2,500,000 მან.

4 „ 2,000,000 „

ღირსად დამწერებულნი ძეგლი ალექსანდრე, ბიკტორ, ილიკო და კონსტანტინე ასათიანები
ვაცხოვეთებთ ახლომდებარე, რომ ტრადიციულად გარდაცვალებულის საყვარელი ძმის

დათიკოც

დასაფლავების დრო დანიშნული გვაქვს ხუთშაბათს ივლისის 19 ვერის ნიკოლოზის სასა-
ფლაოზე. გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავადმყოფოდან საღამოს 4 საათზე.

ღირსად დამწერებულნი ძეგლი: ელუბი წერეთლისა, ვახასი აბულაძისა, მარიამ, აგრადენა
და კატუშა ასათიანები, სიძეები: შალვა წერეთელი და ვანო აბულაძე აუწყებენ ნათე-
საგებს და ნაცნობებს საყვარელი

დათიკოც

ტრადიციულად გარდაცვალებას, რომლის დასაფლავებაც მოხდება 19 ივლისს, ხუთშაბათს,
4 საათზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება რკინის გზის საავადმყოფოდან.
1-1 № 436.

საგზოთა სახელმწიფო მსოფიო საკითხი.

როგორც არა ერთხელ აღვნიშნავს, საბჭო-
თა რესპუბლიკების ცნობის საკითხი თანდათან
წიფდება. ფაქტის სიმძლიერე არღვევს ფორმალ-
ის წყაროს და ბურჟუაზია იძულებული ხდება საქ-
მე დაიჭიროს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთან.
მთელი რიგი სახელმწიფოები იურიდიულად და
ფაქტურად სწრაფად საბჭოთა რესპუბლიკებს.

როგორც დღეებში გადმოქცემს ჩეხო-სლო-
ვაკების თათბირზე ბუშენმა განაცხადა, რომ ჩეხო-
სლოვაკიის მთავრობა ყოველთვის მიიღოდა რუსე-
თის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგო და დასტანდა.
რუსეთის გამოცხადება ევროპის სახელმწიფოთა რი-
გებიდან ცუდ პირობას ქმნის, როგორც მთელი ევ-
როპის, ისე ჩეხო-სლოვაკიისათვის.

სამხრეთ სლავების მთავრობის ნახევარდ ოფი-
ციოზი „ტრიბუნა“ სწერს, რომ მთავრობა მოა-
ლენა გაანახლოს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან
სამხრეთ-სლავის ყველა წრეებს, განურჩევლად მი-
მართულებისა, აშკარად ეტყობა განწყობილება
რუსეთთან დაახლოვების სასარგებლოდ. გაზეთი
დასტანს, რომ რუსეთის მთავრობა იცნო რუსეთის
ხალხის უდიდესმა ნაწილმა, ხოლო ინგლისი, ჩეხო-
სლოვაკია და საფრანგეთი კი დარწმუნდნენ იმაში,
რომ აღცილებელია რუსეთთან დამოკიდებულების
განახლება. გაზეთი საქმით სთვლის, რომ რუსეთ-
ში გაიგზავნოს ისეთი პირი, რომელიც შესძლებს
დამოკიდებულების საქმის მოგვარებას.

შვედის ერთ ერთი ფორმის რედაქტორი,
დამრუდებული რუსეთში მოგზაურობიდან საქართვე-
ლის, რომ რუსეთთან დადებულ იქნას საგარეო
ხელშეკრულება.

ამერიკიდან რუსეთში ორი სენატორი მოემ-
გზავრება. ერთი მათგანია რუსეთის დიდი მოწი-
ნააღმდეგე და შეურაცხველი მტერი კინგი, რომე-
ლიც ეხლა მხარს უჭერს რუსეთის ცნობას.

ეს პატარა ეპიზოდები დამახასიათებელია სა-
ბჭოთა რესპუბლიკების არგვლივ შექმნილი ურთი-
ერთობისა საგარეო პოლიტიკის სფეროში. ცხოვ-
რების რეალური ძალა, ფაქტური ძლიერება უფრო
მეტე მნიშვნელობის გამოდგა, ვიდრე იურიდიული
აბსტრაქციები და საერთაშორისო სამართლის ფი-
ქციები. „წესიერებისა“ და „კანონიერების“ შემ-
ლახველი „ყაჩაღები“ უნდა გახდეს საერთაშორისო
სამართლის სუბიექტი. აი ირონია ბურჟუაზიულ
უსამართლო სამართლის. ეს ირონია ანარქიული
რეალური ძალების შეთანხმებების ორ სამყაროს შო-
რის, რომელთაგან ერთი არსებულს იცავს, ხოლო
მეორე სასურველისათვის იბრძვის.

მტკიცე ენერგია, გასაღწევადი ნებისყო-
ფა, საბჭოთა ქვეყნის მძერი თანამშრომლობა და
არსებული მატერიალური რესურსების რაციონა-
ლური გამოყენება, კიდევ ბევრ გაუსწორებელ მტერს
გაასწორებს, რადგან ისტორიის წინააღმდეგ ამე-
დრებული კაცუნები შეუბრალებლად ისრისებან
ისტორიის მსვლელობის მიერ.

შუამდგომლობა. შრომის სენაკის განყოფი-
ლებამ შუამდგომლობა აღძრა შრომის კომისარია-
ტის წინაშე ქ. სენაკში შრომის ბირჟის აღდგენის
შესახებ, რადგან უმუშევართა რიცხვი უკანასკნელ
ხანებში გადიდდა.

— მაღაზიების გაღება-დაკეტვის დრო. ზაფ-
ხულის სეზონის განმავლობაში აღმასკომის დადგე-
ნილებით მაღაზიები გაიღება დღის 8 საათზე—8
საათის სამუშაო დღის დაცვით.

— დახმარება. თიანეთის სახალხო სახლს
(ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის) ა. კ. საგარეო ვაჭ-
რობის კომისარიატმა შესწირა 25 მილ. მ.

— თანხების განაწილება. იენისის განმავლო-
ბაში პროფ. განათლების მთავარ მმართველობამ
გაუწყოფა თანხის ქვემდებარე სასწავლებლებს შემ-
დგენა სახელმწიფო სასწავლო ფონდის (საქსკოლისათვის) 3 მილიარდი მანეთი, მასვე
გამომცემლობისათვის—2 მილიარდი და 200 მილი-
ონი ექსკურსიების მოსაწყობად. მუხაძის კლინიკას
—600 მილიონი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს—2
მილიარდი და 800 მილიონი, მუშათა ფაქულტეტის
სექტორს—1 მილიარდი და ტფ. მე-6 ტექნიკუმს—

500 მილიონი. სულ 11 მილიარდი და 600 მილიო-
ნი მან.

— ბინის ქირის შესახებ. თანახმად ტფ. აღ-
მასკომის დადგენილებისა ბინის ქირები ნაანგარი-
შევი უნდა იქნას ოქროს მანეთის მაგიერ ჩერვონ-
ცების კურსით.

— ტრამვაის მოძრაობის გაგრძელება და-
მით. 13 ივლისიდან ტრამვაი იმოდრავებს ღამის 2
საათამდე შემდეგი მარშრუტით: ფუნიკულიორი,
თავისუფ. მოედანი, რუსთა. პრ., კიკის ქუჩა, პლე-
ხანოვის პრ. თეატრ აპოლომდე და უკან ამავე მი-
მართულებით.

— ბრძენის სკოლა. იენისის განმავლობაში
ბრძენის სკოლაში 39 მოწ. ირიცხებოდა. მათ მიერ
დამზადებული ნივთების გაყიდვით შემოვიდა 379
მილ. 110 კოლსკიხი მოსახლეობისათვის ცხოვეთი კა-
ხეთში ფილქსერამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი,
რომელმაც გააფუჭა მოსავალის სამი მეოთხედი.

— ელექტრონის სადგური. პირველი ლეგო-
ნის კოპერატივი ამ დღეებში მანგლისში აამუშა-
ვებს ელექტრონის სადგურს. ამავე კოპერატივმა
მანგლისში მოაწყო კინო, საჩაი და სხ.

პარტიული

— პარასკევს, ივლისის 20, საღამოს სრულ
7 საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია მე-4
რაიონის წევრთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგშია:

1) მოხსენება ტფილისის საქალაქო კონფერენ-
ციის შესახებ.

2) მიმდინარე საკითხები.

გამოცხადება საავადმყოფოთა აუცილებელი
დანიშნულ დროს.

მე-4 რაიონის მდივანი ა. კ. სირაძე.

დღეს, ივლისის 19, საღ. 7 საათზე, პარტიულ
ცენტრ. კლუბში დანიშნულია მეორე რაიონის ორ-
განიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია:

ტრამვაის ხაზი საზურთალოზე

(ტფილისის აღმასკომის საყურადღებო)

ექვს გარეშეა, რომ საბჭოთა ხელისუფლება
საქართველოში დიდ სამეურნეო და ეკონომიურ
აღმშენებლობას ეწყევ, მაგრამ არის ადგილები
სადაც საქმეა კიდევ მეტი ყურადღება.

ჩვენ გვაქვს ერთი მივიწყებული უბანი საზურ-
თალო, დასახლებული მხოლოდ და მხოლოდ მუშა-
მოსამსახურეებით, რომლებიც რამდენიმე ვერსით
არიან დაცილებული ქალაქს და იქიდან დადიან
ფეხით სამუშაოზე ყოველდღიურად.

საზურთალო წყალდიდობის შემდეგ, მტკვარზე
ბორჩის მოშლის გამო, მოწყვეტილია დიდუბე და
რკინის გზის ლიანდაგის სიახლოვეს. მოვალეა ისეთი

1) მოხსენება ტფ. კონფერენციის შესახებ.

2) ახალ წევრთა მიღება.

3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთათვის საავადმყოფოთა.

ხუთშაბათს 19 ივლისს საღამოს 6 საათზედ
ა. კ. ფინსაკომის შენობაში შესდგება გაფართო-
ებული სხდომა ამავე კომისარიატის შემაჯავრობით
ფედ. ფრაქციისა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. გ. ხო-
ფერია „რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-12
ყრილობის დადგენილება ეროვნულ საკითხის შე-
სახებ“.

დასწრება შეუძლია ყველას.
მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

ფრაქციის ბიურო.

განთარი.

მუშა, რომელიც საბურთალოზე სტოვრობს და
მსახურობს კი რკინის გზის სახელმწიფოში, ამ უკა-
ნასკნელს უხდებოდა ფეხით წამოვიდეს საბურთალოდან
ვერსზე, აქედან კი რკ. გზის სადგურზე, რაც ალბათ
რვა ვერსზე მეტს უდრის.

ჩვენი ქალაქის აღმასკომი ძალიან კარგს იზამ-
და ტრამვაის ქსელი გაეყვანა საბურთალოს მუშა-
მშრომელთათვის, რომ ეს ხალხი უფრო დაუკავში-
როთ კულტურულ ცენტრს და ამით ხელი შეუწყოს
თვითონ საბურთალოს უბნის მცხოვრებთა რიცხვის
გადიდებას.

განთარი.

კოჟოკი (—კოჯოკი).

გზები. გზათა არე-მარე. ყანები. დუ-
ქნები. კოჟრის ადგილობრივობა და
სახელი. მის მიღამის მოკლე აღწერა.
მოზარდთა ახალშენები და აგარაკები.
ზაზარი. ჭებო. ბუნება.

კოჟრისკენ ტფილისიდან მიდის ორი გზა,
საფოსტო და საცალფეხო. პირველი მიმდინარეობს სო-
ლოლაკის მთების გაყოლება, გადაჭრის ტახანელას
და იოზლანება ახელას (კოჟორს). მისი სიგრძე
სულ 18 ვერსია. ამ გზის არე-მარე ატკობს გზა-
ვებს.

რის თვალს მშენებელი სახილველებით, მეტადრე
ოქროს-ფერ ყანის ზოლებით. გული გიხარის, რო-
დესაც ყოვლის მხრივ გეხმის მშრომელ მომკლების
ყიყინი და მამა-პაპური ჰოჟუნა. ასე სტკებთ თვით
კოჟრამდე და გიხარია, რომ შენ მომდე მუშა ხალხს
დაპჯილდოვებია მისი ალალი ოფლი და უხვად მი-
ჰმადლებია ბარაქიანი სამკალი. მხოლოდ ამ საერ-
თო სიხარულის არეზე ერთგვარ უსიამოვნებას
გგვრის არლანის ჭყვიტინი და მოცოლ კაცთა
ერიაშული, რომელიც ამ მშრომელთა სამეფოს გაი-

მეტი რამე

ქალაქის აღმასკომს დაუდგენია, რომ ყურად-
ღება მიექცეს ქალაქის გამშენიერება-გალამაზებას
ეს საქმე მართლაც ყურადღების ღირსია. ჩვენ გვი-
ნდა სითანადო ორგანიზებს მიუთითოთ ერთ პარტი-
ა გარემოებაზე, რომელიც ქალაქის გალამაზების
საკითხთან არის დაკავშირებული.

რუსთაველის პროსპექტი მეტად დაზარალა
ცეცხლმა, ორი დიდი შენობა უკვე ნაშენებლად
არის ქცეული. ეს შენობები მეტად ცუდ იერს აძ-
ლევს ქალაქის უმთავრეს ქუჩებს.

ამავე პროსპექტზედ არის მრავალი სახლი,
რომელიც წვიმისაგან დარცხილა და დარღვევით
გამოიყურება.

ყოველივე ეს ყურადღებას მოითხოვს. მათი
გამოსწორება შესაძლებლობის ფარგალში აუცილე-
ბელია.

თუ ზემოდ აღნიშნული დამწვარი სახლების
აღდგენა ძნელია, ადვილია ზოგიერთი ღობე-ყორეს
დანგრევა, რაც რუსთაველის პროსპექტს ამახინ-
ჯებს.

მთავრობის მოქმედება და განმარტება.

დოკუმენტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა სახალხო კომისარია საბჭო-სი.

1923 წ. ივლისის 9.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისთვის გადასახადები განაწილების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1923 წ. აპრილის 23 თარიღით გამოცემული დეკრეტის, მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის განმარტებით ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომისარია საბჭო აწესებენ რაიონთა შემდეგ განაწილებას ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისთვის ნატურად ან ფულად ანერგეტიკაში და საქართველოში.

1. გადასახადის ნატურად აკრეფის რაიონებს იმ პირობით, რომ მოსახლეობას უფლება აქვთ იგი ფულადაც გაიღოს, მიეკუთვნება.

ანერგეტიკაში:

მაზრები: განჯისა, შემახისა, ლენქორანისა, სალიანისა, ყუბისა, ყაზახისა, შამხორისა, აღდაში-სა, გეოქაისა და შუშისა.

საქართველოში:

მაზრები: გორისა, თიანეთისა და ზუგდიდისა სიღნაღის მაზრის შირაქისა, ალაზან გაღმისა და ქიზიყის რაიონები; აჭარისტანის მაზრები: ქობულეთისა (ჩახათის თემის გამოკლებით) ბათუმისა და აჭარის წყლისა; სამხრეთ ოსეთი.

2. გადასახადის ფულად აკრეფის რაიონებს მიეკუთვნება:

ანერგეტიკაში:

მაზრები: ქუბადლისა, ყარაიგინისა, ნუხისა, ზაქათალისა, ბაქოსი, ჯეგნაშორისა და ნაჩიქვანის მაზრები.

საქართველოში:

მაზრები: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, თელავისა, სიღნაღისა, (პირველ მუხ. აღ-

რუხეთის თავისებური ობიექტიური პირობები არ იძლეოდა მონარქიზმის დამხმარე დიდიანევი სოციალისტურ სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობას. მაგრამ რუსეთის სინამდვილე არ იყო ცენტრალ აზიის ხალხების ეკონომიკურ განვითარების დონემდე ჩამოქვეითებული. ამიტომ შეუძლებელი იყო, როგორც 1 თავში ავღნიშნეთ, რუსეთის რევოლუციის შედეგად ბურჟუაზიული ტრინი მიხედვდა. ორივე უკიდურესობა (მაქსიმალიზმის და მინიმალიზმის) ფაქტობრივად გათვალისწინებული და სწორი გეზის აღების გარეშე იდგა. რევოლუციის ვითარებიდან ამოტივტივებული მოვლენათა წყალობით საშუალოდ განვითარებული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ფორმირებაში ჩამოქნილი, ამ დებულების სწორი და ობიექტიური იდეალისტრატეგია.

ობიექტიურ პირობების პარალელად, თუმცა ნაკლები ინტენსივობით, გავლენა მოახდინა სამხედრო კომუნიზმის დამხმარე საერთაშორისო რევოლუციის გაუჩინებლობამ. უკუკვლით, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია დადებით გავლენას მოახდენდა და მოახდენს საბჭოთა ფედერაციის სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობაზე. მაგრამ ფიქტი იმის შესახებ, რომ გერმანიის პროლეტარული რევოლუცია უკუაგდება რუსეთში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმს და დაამყარებს ინტერგალი კომუნიზმს, უკუკვლით მოვლენებშია მტკიცე ნიშანები. რუსეთის პირობებში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ისტორიულ-აუცილებელი მოვლენაა! საერთაშორისო კომუნიზმის გადართობა იმითაა საბჭო-დღევანდელი იდეალი, რომ იგი მოახდენს სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმზე გავლენა იმ მხრით, რომ ჩამოაგდებს მას ბურჟუაზიულ-კაპიტალიზმს გადართობულ ტენდენციებს, ყოვლის უწინარეს—მოხმობას გერმანიის კაპიტალის კოლონალი თვალსაზრისის რუსეთის მიმართ. ამიტომ საერთაშორისო რევოლუცია საბჭოთა ფედერაციის მუშებისა და გლეხების არა სადგენდომი ნიშანია, არამედ ბრძოლის საკითხია. სამწუხაროდ, გერმანიის მუშათა კლასი კიდევ განიცდის რევოლუციის გავლენას, ბურჟუაზიულ იდეოლოგიის დაწვლას. მთელს მსოფლიოში ვერ იპოვება ისეთი ბურჟუა, რომელიც სოციალისტური იქნება გატაცებული. ბურჟუაზიული იდეოლოგიით გაშვებულია გი მახსოვრები მოვლენა მშრამელთა რიგებში...

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი უკან დახევადან ცნობილი. სამხედრო კომუნიზმთან სეთის კუთვნილება. იგი სასოფლო-სამეურნეო მას ვერ აუხვევს გერმანიის პროლეტარიატის სოციალისტური ბრძოლა. ბურჟუაზიული კაპიტალიზმის დამსხვრევითაა უწინარეს ყოვლისა საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც მოპოვებულ უნდა იქნას, ბრძოლით, სისხლის ღირით, რევოლუციით. მხოლოდ პროლეტარული ბარიკადებით შეიძლება ბურჟუაზიის ბატონობის ციტიდლის დანგრევა.

32) დაწერილობითი ანალიზისათვის: IV კონგრეს კომინტერნა. ტროცკის მოხსენება, 86—123. აგრეთვე მისივე: Новая экон. политика и перестройка мира. революция.

ნიშნული რაიონების გამოკლებით) ტფილისისა, დუშეთისა, ბორჯომისა, ქუთაისისა, შორაპნისა, ოზურგეთისა, სენაკისა, რაჭისა და ლეჩხუმისა; აფხაზეთი; აჭარისტანის მაზრები: ხეთისა, ხულოსი და ქობულეთის მაზრის ჩახათის თემი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხატურა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასკომის მდივანი ბ. თალიბილი.

დადგენილება № 45

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სახელმწიფო ღებრიანი ბეჭდის ხმარებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. აპრილის 10 თარიღით და 35 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სახელმწიფო ღებრიანი ბეჭდის ხმარების წესის შესახებ 1923 წ. აპრილის 10 თარიღით და 35 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 2. სახელმწიფო ღებრიანი ბეჭედი შეიძლება დამზადდეს იქნეს მხოლოდ მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების ნებართვით, რომელმაც სისწორით უნდა აღიწეროს ბეჭდის შეკეთებისათვის ყველა გაცემული ნებართვა.

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხატურა.

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

1923 წ. ივლ. 10.

ტფილისი—სახალხო.

შეადრებით აქ სადაც არაფერია. საერთოდ კომუნიზმის დაუფლებლად შემდეგება ჰგულისხმობდა ბოლშევიკური აზრდგენა. მაგრამ ჯერად აუცილებელი გახდა სამხედრო კომუნიზმის შემოღება სამოქალაქო ომებში. ბურჟუაზიაზთან ბრძოლაში მთელი ქვეყნის მკვდარი და ცოცხალი ძალების მობილიზაცია აუცილებლად წარმოადგენდა. სამოქალაქო ბრძოლის პერიოდის განვლის შემდეგ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ნიადაგზე გადასვლა, პროგრესიული მოვლენა იყო იმ მხრით, თუ მივიდებთ დებულებას: სოციალიზმის განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო სუბიექტიური, ან ობიექტიური პირობები, არამედ სუბიექტიურიცა და ობიექტიური პირობათა მომზადება—განვითარება ერთდროულად. სადაც არ იქნება ეგ სინთეტიკური პირობები დაგებული, აქ სოციალიზმის განხორციელების საქმე უეჭველად საფრთხეში ჩაგარდება.

ამიტომ, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ნიადაგზე შედგება სოციალიზმისაკენ ხერძოვანი ნაბიჯის გადადგმა არსებითად, ეგ ნაბიჯი არაა რევოლუციური ენტრუაზმის ან უტოპიური გრძნობის დემონსტრაცია, იგი მტკიცე, სამეფო, მეცნიერული და რევოლუციური. ამიტომ სოციალიზმის განხორციელების საქმის თვალსაზრისით სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი საშუალოდ კომუნიზმთან შედარებით რეგრესიულია გი არა, არამედ უადრესად პროგრესიული მოვლენა სამეურნეო ცხოვრებაში.

— Прогресс есть движение вперед, делая шаг назад!

გ. მუშიშვილი

ლიტერატურა.

К. Маркс. Капитал, I.
Р. Гильфердинг. Финансовый капитал.
Р. Люксембург. Накопление капитала.
Н. Ленин. Развитие капитализма в России. Империализм как новейший этап капитализма. Государство и революция. О продовольственном налоге.

Т. Глonti. Азиатская политика большевиков.

Троцкий. Новая экономическая политика и перспективы мировой революции.

Н. Бухарин. Экономика переходного периода.

Микаелия. Экономическая политика финансового капитала.

В. Трутовский. Переходный период. Преображенский. От нэп'а к социализму.

М. Смит. Очерки переходного периода.

Энгельс. От утопии к научной теории.

К. Макс, Ф. Энгельс. Письма.

Г. Плеханов. История русской общественной мысли, I. Умтаვერსად შე-სავალი.

Туган Барановский. Общественно-экономические идеалы нашего времени.

Проф. Амон. Собственность. Кристал. Новая экономическая политика и система планового распределения.

პროკლამაცია

სოფ. ახკანა. კვირას, 8 ივლისს ასკანის სახალხო სახლში დადგმული იყო ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ „თავისუფლების მსხვერპლი“. ეს მესამე შეთხვევაა ზაფხულის სეზონის დაწყებიდან რომ სხენებულ სახალხო სახლში გაიმართა წარმოდგენა, რამაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. თავის თავად ასკანელებისათვის უცხო ხილს არ წარმოადგენს სხვა და სხვა პიესების დადგმა და არც სინიდიისიერ შესრულება დაკისრებულ როლებისა სცენის მოყვარეთა მიერ, მაგრამ აქ ინტერესს კიდევ იწვევს ის გარემოება, რომ გუშინდელი ეკლესია თავისი ატრიუტებით: ხატებით, სანთლებით, მღვდლითა და დიაკვნით, დღეს სახალხო სახლადაა გადაკეთებული, სადაც ქერპირტ გონებრივ და ზნეობრივ საზრდოს შევლიან მსმენელებს ნაცვლად უწინდელი გონების გამლაყებელ „ალილოია და უფლო შეგვიწყალონ“-ისა. აქ თავი მოუყარა ახალ-გაზრდას, ხნიერს, პატარას, დიდს, ქალსა და კაცს, ჯგუფ-ჯგუფებით დაყოფილნი, სახალხო სახლის ამ-წვანებულ ეზოში საუბრობენ, ოხუჯობენ. ბევრნი კი თანამედროვე კითხვების გარშემო ატეხილ ბაას-ში ელოდებიან წარმოდგენისათვის დანიშნულ დროს. რასაკვირველია აქ, ამ საუბარში, არავითარი პირადული არ არის და ყველანი გულწრფელად და უშიშრად გამოთქვამენ თავთავიანი აზრს, თავთავიანი გულის ნაღებს.

პირველი ჯგუფი: აქ უფრო ხნიერებს მოუყარიათ თავი და საუბრობენ; მიღიხარ მათ ახლო და ყურს უდგენ.

— „ნეტავი ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე, ლავრჩი სოსელია სადილოთ სახლში არ წასულა, რომ ყველაზე ადრე აქ გაჩნდა?..“

— „მაგი რატო გავიკვირდა შენ? ეუბნება მეორე—მაგან და მისმა ამხანაგებმა დიდი შრომა დიხარჯეს აქ, ამ სახლის გადაკეთებაზე და სახალხო სახლათ მოგვარებაზე, რასაკვირველია, თავს დასტრიალებს, ათვარიელებს რომ ყველაფერი რიგზე იყოს მოწყობილი ამელამდელი წარმოდგენისა. ათვარიელებს რაიმე უწყობისასარ ქონდეს ადგილი ამდენ თავ-მოყრილ ხალხში... და ამ გვარად ახა-

სიათებენ დანარჩენ აღმასკომის წევრებსაც და სხვა.

მიღიხარ მეორე ჯგუფთან.— „შენ რაფა ფიქრობ—ამბობს ერთი—

რაც უწყობობას ჩვენ მოვესწარით ამ ზაფხულში ივანე მღვდელს რომ შერჩენოდა ეს ეკლესია, მთელ გვარბათს * მუხლებზე დაოქილი შამოიარა და და წვიმას გამოსთხოვდა ზეცას“.

საერთო სიცილია.

— სასაცილო ჩვენ ვიყავით, ძმაო,—უპასუხა მეორემ—ფიცებზე გამოხატულ სურათებს რომ სანთლებს უნთებდით!

— „არა, დიწყო მესამემ, ამ საბჭოთა მთავრობის განმტკიცებამ კი აგვიხილა თვლები...“

ბრმები ვიყავით ამდენხანს...

ბნელი ბურჟუა, რომლითაც დაფარული იყო ჩვენი გონება, ის საბჭოთა მთავრობამ გაგვიფანტა მაგრამ... ყველაფერს მთავრობა ხომ არ გაგვიკეთებს, კაცო! გადაწყვეტილი იყო ამ ზაფხულზე გზების და ხიდების შეკეთება. ეს ჩვენი საქმეა მგონი... ამ მხრით ჯერ-ჯერობით არაფერი გავგვიკეთებია... თემის აღმასკომი კი სდუმს.

სახალხო სახლის შიგნითა კედლების დასურათება ჯერ-ჯერობით არაა დამთავრებული შალვა შევარდნაძის მიერ. მაგრამ ის, რაც დახატულია, კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

სურათი გამოხატავს მოწყალების მასწავლებელთა თანხლებით, ექსკურსიას ასკანის მიდამოების და ციხის დასათვლიერებლად.

საერთოდ ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა, როგორც პიესის დადგმით, ისე სახალხო სახლის სასარგებლოთ გამართულ საჯარო ვაკრობით.

მთის პირის (ასკანის თემშია) დაკეტილი კოპერატორი და ბიბლიოთეკა მალე დაიწყებს მოქმედებას.

ton.

*) გვებარათი-სოფელია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტფილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება ახალა ფაკულტეტებზე 10 აპრილს და დათავრდება 5 მაისამდე.

განცხადებანი მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. პედაგოგიურა, (განყოფილებები: სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო—საბუნების მეტყველო და ქიმიო-ფარმაცევტიული) 2. საგუპრანლოზა, 3. აგრონომი-ულა (განყოფილებები: სატყეო და სასოფლო-სამეურნეო), 4. სო-ციალურ-ეკონომიურა (განყოფილებები: სოციალური და ეკონომი-ური), 5. კოლიტახნიკურა (განყოფილებები: სამთო-მადნო, სააღ-მშენებლო და მექანიკური).

სიბრძნის მეტყველების განყოფილებაზე

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა მოიხსენიონ განცხადებაში—რომელი დარგი სურთ:

ისტორიული, სიტუიკაბის, ფილოსოფიური, ენათმეც-ნიკაბის, ფსიქოლოგიური, თუ ხელოვნების.

კოლიტახნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხულ იქნებიან მხოლოდ ისინი ვინც უნივერსიტეტთან ჩაბარებს გამოცდას ელემენტარულ მათემატიკაში (ალ-გებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია) და ფიზიკაში საგუპრანლოზა ვინც ჩაბარებს ფიზიკასა და ქართულ თხზულებასში.

განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქნეს შემდეგი საბუთები (თვით დედანი და ორი შემოწმებული პირი თვითილ საბუთისა): 1. საშუალო განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი (თხელ ქალაღზე გადაღებული) და 5. ორ მილიონ ნახევარი მანეთი. გამოსაცდელმა პირებმა წინასწარ უნდა წარმოად-გინონ ნახევარი მილიონი მანეთი გამოცდების ჰონორარად. ჩასარიცხავი გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს. პოლიტენიკურ და სამეცნიერო ფაკულტეტების პირველ კურსზე ჩარიცხვის მსურველები უნდა გამოცხადდნ უნივერსიტეტში ჯგუფებად გა-ნაწილებულნი 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე.

სტუდენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაგება

3—3.